

ბორჯომი

კომისიას ესწრებოდნენ:

1. დავით ზაალიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი, სატენდერო კომისიის თავმჯდომარე;
2. ჯუმბერ ბერიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის წევრი -
3. გიორგი ჩადუნელი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
4. თეა კიკაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი
5. გაიოზ დვალიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მონიტორინგისა და სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი - კომისიის წევრი;
6. ელისაბედ მჭედლიშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;
7. მაია პაიჭაძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
8. ეკა ლონდარიძე - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;
9. მაია მახარაშვილი - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;
10. ეკატერინე სორდია - ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, აპარატის წევრი;

### დღის წესრიგი

ქ. ბორჯომში ბაზრის და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და დამტკიცება.

**მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა დავით ზაალიშვილმა კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს სატენდერო კომისიის აპარატის წევრი ეკა ლონდარიძე.

სატენდერო კომისიის აპარატმა კომისიას მოახსენა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 20 ნოემბრის #02/2677 ბრძანებით გათვალისწინებულია ქ. ბორჯომში ბაზრის და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვა.

შესყიდვების ობიექტების ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის #7 ბრძანების



თანახმად, აღნიშნულ შესყიდვას შეესაბამება კლასიფიკატორის კოდი 4520000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები .

“სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ე)-პუნქტის შესაბამისად შესყიდვა ექვემდებარება ელექტრონული ტენდერის ჩატარებას. სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოცხადდეს ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე.

კომისიამ განიხილა სისტემაში განსათავსებელი სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის პროექტები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 447727 ( ოთხას ორმოცდაშვიდი ათასი შვიდას ოცდაშვიდი) ლარი დღგ-ს ჩათვლით.

სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა რა “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონითა და “ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის 12 ბრძანებით დამტკიცებული წესით.

**დაადგინა:**

1. ქ. ბორჯომში ბაზრის და ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის შესყიდვაზე გამოსაცხადებელი ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი.
2. სატენდერო კომისიის წევრების მიერ გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით დაევალოს კომისიის აპარატს უზრუნველყოს აღნიშნული ტენდერის განცხადების განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

**კომისიის წევრები:**

- 1.
- 2.
- 3.
- 4.
- 5.
- 6.
- 7.
- 8.



დ. ზაალიშვილი



ჯ. ბერიძე



გ. ჩადუნელი



გ. დვალიშვილი



თ. კიკაძე



მ. პაიჭაძე



მ. მახარაშვილი



ე. ლონდარიძე